# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს



## ძვირფასო საჩხერელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი საჩხერის მერობის კანდიდატისა და საჩხერის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს საჩხერის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს საჩხერე და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# საჩხერის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ საჩხერის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს, საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 6,4 მლნ ლარი იყო, 2021 წლის გეგმის მიხედვით – 12,3 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – თუ 2013 წელს საჩხერის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 1,069 მილიონი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 15,1 მლნ ლარს შეადგენს.

- ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**საჩხერის მუნიციპალიტეტში,** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 24 ჰექტარზე განხორციელდა 17 პროექტი (ჯამურად 244 627 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, დაზღვეულია, ჯამურად, 48 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 197 850 ლარი), რითაც ისარგებლა 226-მა ბენეფიციარმა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეს მოქმედებს 4 კოოპერატივი (25 მეპაიე, კაპიტალი 20 000 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 23-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 1 154 774 ლარის მოცულობის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 174 050 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 1 პროექტი (18 300 ლარი, თანადაფინანსება 7 320 ლარი). **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** 2020 წლიდან ამოქმედდა და 1 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (52 600 ლარი, თანადაფინანსება 39 000 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 3 598 301 ლარი. წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 0-დან (2013 წელს) 614 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიებები**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, **საჩხერის მუნიციპალიტეტში**, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 1 845 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 9 960 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **2024 წლისთვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 2 075 ჰექტრამდე ზრდა.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

საჩხერის მუნიციპალიტეტში, პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** სასტუმროს კომპონენტში ხელი შეეწყო 1 სასტუმროს მშენებლობას (ინვესტიცია 750 000 ლარი, დასაქმებულია 14 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 567 729 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 729 439 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 69 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 30, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 39 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.** „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

**იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:**

- **ნამახვან ჰესების** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

იმერეთის რეგიონში, **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

საჩხერეში აქტიურად მიმდინარეობდა **გაზიფიცირების სამუშაოები,** შესაბამისად მუნიციპალიტეტი სრულად გაზიფიცირებულია. 2015 წელს, სოფელ ჩონთოს 21 ოჯახი ჩაერთო **ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში.** 2013-2017 წლებში ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი 10927 აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მლნ-დან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მლნ-ს გაუთანაბრდა.**



41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**ტურიზმის განსავითარებლად,** 2014 წელს, საჩხერეში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2016 წლიდან მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევა-დაგეგმვის პროექტი. მუნიციპალიტეტში შეიქმნა სპეციალური სარეკლამო გვერდი; განხორციელდა დევის ტბის მარკირება; შეიქმნა საჩხერის ტურისტული რუკა; მომზადდა სარეკლამო დოკუმენტური ფილმი „საჩხერე“;

„ღვინის გზის“ პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

**საჩხერის ტურისტული პოტენციალის ათვისების მიზნით, 2020-2021 წლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები:** არქიტექტურული კომპლექსის – ციხე „მოდინახეს“ აღდგენა, ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია; ასევე ციხე „მოდინახეს“ მიმდებარედ სკვერის, პარკინგის, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სხვა ობიექტების მოწყობა; სოფელ კვერეთში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

## ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.**

საჩხერის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივ მოსახლეობაზე, 2013-2021 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაიცა 105 კუბ.მ მერქნული რესურსი. ამ პერიოდში ტყის მასივებიდან მერქნული რესურსის გამოსატანად მოეწყო 1,6 კმ ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 17 კმ გზას. 2014-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 3190 კუბ.მ ხე-ტყე. ამ ეტაპზე მომზადებულია ტყის აღდგენის პროექტი 18 ჰა ფართობისათვის. საჩხერეში რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ინსპექტირება.

გარემოს ეროვნული სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ, მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი.

- სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;
- გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;
- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, **საჩხერეში, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე,** ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 32 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 3 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 9,626 მლნ ლარი გამოყო.

2021-2025 წლებში, ხელისუფლება გეგმავს **მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობას,** შედეგად საჩხერის 25 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 6 017 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, საჩხერეში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად, 37 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. მათ შორის დასრულდა ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების წყალმომარაგების სამუშაოების პირველი (ძირითადი) ეტაპი, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს ტენდერი მეორე ეტაპის სამუშაოების განსახორციელებლად, რომლის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 5 124 246 ლარს შეადგენს.

**საჩხერეში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:**

- ჩიხის ადმინისტარაციულ ერთეულში უახლოეს პერიოდში დასრულდება სასმელი წყლის სისტემების მოწყობის სამუშაოები - 7 389 617 ლარი;
- სოფელ მახათაურისა და შალაურის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა – 870 188 ლ;
- სოფელ მოძვში, ქვემოხევში სასმელი წყლის სისტემებისა და სოფელ ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემისათვის მაგისტრალური ქსელის მოწყობა – 1 520 310 ლ;
- სოფელ ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოწყობის სამუშაოები (მეორე ეტაპი) – 2 589 076 ლ;
- კორბოულსა და ჯალაურთის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული წყალმომარაგების პრობლემების გადასაჭრელად მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.
- სოფელ იცქისის სასმელი წყლის სატუმბ სადგურზე სამარაგო რეზერვუარის მოწყობა – 79 847 ლ;
- ქ. საჩხერის წყალმომარაგების სისტემის გასაუმჯობესებლად, სასმელი-სამეურნეო 2 ერთეული ჭაბურღილის მოწყობის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა – 179 600 ლ;
- სოფელ იცქისში, სავანის წრესთან და სალობიესთან, საკანალიზაციო ქსელისა და საჩხერის სამთო ბატალიონის სკოლის მიმდებარედ საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია – 22 358 ლ.

### 2021-2022 წლებისთვის საჩხერის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. საირხეში (მესხების უბნიდან სოფ. მერჯევის დეკანოიძეების უბნამდე) ს/გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (II ეტაპი);
- სოფ. ივანწმინდაში, ქავთარაძეების უბნიდან იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გავლით, ცენტრალურ ს/გზის რეაბილიტაცია;
- სოფ. ჭორვილაში, მჭედლიშვილების, წიქვაძეების, ნადირაძეებისა და ბურძენიძეების უბნების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ცენტრალური მაგისტრალიდან, მერჯევის საჯარო სკოლის გავლით, სამების ეკლესიამდე გზის რეაბილიტაცია;
- სოფ. დუნთის ს/გზის რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (II ეტაპი);
- სოფ. დურევის ს/გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (II ეტაპი);
- კორბოულში (კნაჭაძეები კულაშვილები) საუბნო გზის რეაბილიტაცია;
- ხვანში, მაჭარაშვილების უბანში, რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;
- საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილას კალაპოტში, საყრდენი კედლების მოწყობა;
- სოფ. ცხამში, ეთო-ეხვევის უბნიდან მეფრინველეობის ფაბრიკისკენ, ს/გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (III ეტაპი);
- სოფ. ქვემოხევში, შიდასაუბნო გზაზე, რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფ. იცქისის საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (II ეტაპი);
- სავანეში, შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია (III ეტაპი);
- სოფ. გორისაში, დონაძეები-ბარბაქაძეებისა და წერეთლების უბანში, გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფ. გამოღმა არგვეთში, მარკოზიშვილებისა და მარგველაშვილების უბანში, გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა;
- საირხე-კალვათის შემაერთებელ გზაზე (გელბახიანებზე გამავალი) რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (II ეტაპი);
- სოფ. ჭორვილაში, მჭედლიშვილების, წიქვაძეების, ნადირაძეებისა და ბურძენიძეების უბნების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ((II ეტაპი);
- სოფ. სარეკში, 17-ე ქუჩაზე, ჭიღლაძეების, ნავაძეების, ჭადაძეების, სხირტლაძეების, დობორჯგინიძეებისა და ღვთისმშობლის ეკლესიიდან აბრამიშვილების, ლობჟანიძეებისა და ლაბაძეების უბნისაკენ, მიმავალ ცენტრალურ გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფ. ქვედა ორღულში, ნადირაძეების უბნიდან ჭიღლაძეების, ქველაძეებისა და კალმახელიძეების უბნის დამაკავშირებელ და სოფ. ზედა ორღულში, მაჭავარიანების უბნიდან ორღულის სკოლის, ბაღისა და მდ. ლესერის მიმდებარედ, სარიტუალო დარბაზის დამაკავშირებელ გზებზე, რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;
- ქ. საჩხერეში, დარჩენილ უბნებსა და ჩიხებში, ს/გზების რეაბილიტაცია ((III ეტაპი);
- სოფ. ქორეთში, გაბაძეების უბნიდან სოფელ საირხის ბოლომდე გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფ. ჭალაში, მდ. შუშის ორივე მხარეს გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფ. სპეთში, შიდასაუბნო გზებზე, რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფ. ღოდორაში, ხარაიშვილების უბანში, გზის რეაბილიტაციის სამუშაოები და რკინა-ბეტონის საფარით მოწყობა;
- სოფ. კორბოულში, ჩიჩინას გორიდან სოფელ ცხამის დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია;
- სოფ. საირხეში, საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფ. ჭორვილაში, საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (რეგიონული ფონდის მიმდინარე პროექტი);
- კორბოულის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში შიდასაუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფელ გორისაში, ქვედა შეყლაშვილების უბანში, გზაზე რკინა/ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხის მოწყობა;
- სოფ. ჭორვილაში, შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია;
- **აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი:** ამ ეტაპზე, მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნისა და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება;
- **დასრულების ფაზაშია** ზემო იმერეთი-რაჭის (საჩხერე-ონი) დამაკავშირებელი შიდასახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ლევან ივანაშვილი: „ჩვენ, ერთად, საჩხერეს ბევრ სიკეთეს მოვუტანთ!“

**„ქართული ოცნება“ ერთადერთი უალტერნატივო პოლიტიკური გუნდია საქართველოში, რომელიც ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზეა ორიენტირებული“, – ასე ახსნა „ქართული ოცნების“ რიგებში ყოფნის მიზეზი. თუმცა, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილაში დაბადებულ-გაზრდილმა ისიც აღიარა, რომ თავის დროზე, პოლიტიკურად თანასოფლელის, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გამო გააქტიურდა.**

**ამაყობს, რომ არც ჭორვილაში დაბადებულმა მეცენატმა გაუცრუა ხალხს იმედი და არც მის მიერ დაარსებულმა პარტიამ. ამაყობს ქვეყნის მასშტაბით და მათ შორის, საჩხერეში შესრულებული მასშტაბური პროექტებით. მათ განხორციელებაში გარკვეული წვლილი თავადაც შეიტანა, საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციიდან.**

**იცის, რომ საჩხერეში გამოწვევები ისევ არის და აქედან გამომდინარე, მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით გეგმებიც აქვს. სწორედ ამიტომ ჩაერთო საარჩევნო მარათონში.**

**როგორი ბავშვობა ჰქონდა ჭორვილაში? როდის გაიცნო ბიძინა ივანიშვილი? რის გამო შეექმნა პრობლემები „ნაციონალებთან“? რატომ ჩაუდგა სათავეში „ქართული ოცნების“ საჩხერის ორგანიზაციას? რა გააკეთა საკრებულოში და რის გაკეთებას აპირებს მერიაში? – ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე პასუხებს საჩხერის მერობის კანდიდატის, ლევან ივანაშვილის ინტერვიუში ამოიკითხავთ:**



დაიბადა 1984 წლის 26 ოქტომბერს, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილაში. სწავლობდა სოფელ ჭორვილას საშუალო სკოლაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2006-2012 წლებში ასწავლიდა სამოქალაქო განათლებას საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჭორვილასა და საირხის საჯარო სკოლებში. 2012 წელს გაათავისუფლეს პოლიტიკური ნიშნით.

არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობის დელეგატი. 2013-2014 წლებში მუშაობდა სოფელ ჭორვილას საჯარო სკოლის დირექტორად. 2014-2017 წლებში – საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჰუმანიტარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

2017 წლიდან დღემდე არის საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. 2014 წლიდან არის საჩხერის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილაში, მშრომელი ხალხის ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. მამა, ჯემალ ივანაშვილი, პროფესიით აგრონომი, მეურნეობის მუშაკი გახლდათ. დედა, ასმათ აბუთიძე კი, საჩხერის საავადმყოფოს სამეანო განყოფილებაში მუშაობდა და საჩხერეში, განსაკუთრებით ძველი თაობის ადამიანები დიდ პატივს სცემენ. ბავშვობა ძალიან ლაღი მქონდა. ისეთი, როგორიც სოფლად მცხოვრებ ბავშვებს აქვთ. სასოფლო სამეურნეო სამუშაოებშიც ვიყავი ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ ზემო იმერეთი და მათ შორის ჩემი სოფელიც მცირემიწიანია, ვენახი და ყანა გვქონდა და შემოსავალიც გაგვაჩნდა. ოჯახს მეც ვეხმარებოდი. ბნელ 1990-იანებში, როცა ცხოვრება გაჭირდა, ჩვენ ნატურალური პროდუქტი ყოველთვის გვქონდა.

**– სასოფლო სამეურნეო საქმიანობას დღესაც ეწევით?**

– რა თქმა უნდა. დღემდე მიწევს მამასთან ერთად მუშაობა ვენახში და ყანაში. კარგი სიმინდი მოდის იმერეთში და ჩვენც მოგვყავს. დიდი მეურნეობა არ გვაქვს. ოჯახის და ქალაქში მცხოვრები ნათესავებისთვის საკმარისია... მე და ჩემმა ერთი წლით უფროსმა დამ, ნინომ, მთელი ბავშვობა სოფელში გავატარეთ. ვერასდროს ვეგუებოდი ადამიანების ჩაგვრას, ვცდილობდი, სამართლიანი ვყოფილიყავი და ალბათ ამის გამო, სამართალმცოდნეობაზე ჩავაბარე. სტუდენტობის დროსაც მე და ჩემი და ერთად ვიყავით, ბევრი მხიარული დღეც გვქონდა და გაჭირვებაც. მზრუნველი ძმა ვიყავი. მისი გათხოვება გარკვეულ ემოციებთან იყო დაკავშირებული, ვინერვიულე კიდეც, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სიძე, საჩხერის მკვიდრი ორბელი ნადირაძე, წესიერი, პატიოსანი, საამაყო და ზუსტად ისეთი ადამიანია, როგორსაც ჩემი დის გვერდით ვისურვებდი. ორი დისშვილი მყავს – 7 წლის დემეტრე და 5 წლის დანიელი. მათთან ხშირად ვატარებ დროს. ვცდილობ მათ აღზრდაშიც შევიტანო წვლილი. ზოგჯერ ფეხბურთს ვთამაშობთ. სპორტის ეს სახეობა ძალიან მიყვარს და ჭორვილაში კარგადაც ვთამაშობდი.

**– ჭორვილელი ივანაშვილი ჭორვილელ ბიძინა ივანიშვილს პირადად იცნობთ?**

– ორივე გვარის ფესვები ჭორვილიდან არის. აქ ყველას საერთო წინაპარი გვყავდა. ჭორვილა პატარა სოფელია და ივანიშვილები და ივანაშვილები ერთი ფუძის ხალხი ვართ. სხვათაშორის, უმაღლეს სასწავლებელშიც და სხვადასხვა დაწესებულებაშიც, ხშირად შეშლიათ ჩემი გვარი და „ივანიშვილი“ ჩაუწერიათ. ამ ორივე გვარის წარმომადგენლებს ერთნაირად გვაქვს ჭორვილის გავლენა, ჩვენი სოფლისა თუ ზოგადად, ქვეყნის სიყვარული. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, პირადად ვიცნობ. ჯერ კიდევ ბავშვობიდან მახსოვს მისი გაკეთებული სიკეთე. მახსოვს, გაჭირვებულ 1990-იან წლებში, როგორ ახარებდა და ეხმარებოდა ჩვენს თანასოფლელებს.




ერთხელ ასეთი ფაქტიც მოხდა: 10 წლის ვიქნებოდი, ეზოსთან პროდუქტებით დატვირთული სატვირთო მანქანა მოვიდა. ჩემი მეზობელი არ იყო სახლში და მისი პროდუქტები ჩვენთან დატოვეს. არასდროს დამავიწყდება, როცა შინ მოსულ მეზობელს ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოგზავნილი ნობათი მივუტანე. მანამდე მესმოდა, ყველა თბილად რომ მოიხსენიებდა, ყველას ეხმარებოდა... მერე გზებიც მოაწესრიგა, ადგილობრივებს სახლები გადაუხურა, ეხმარებოდა ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადის გადახდაში. მერე ჩვენი სოფლის საზღვრებსაც გასცდა მისი სიკეთე – ჯერ საჩხერეში, შემდეგ კი მთელ ქვეყანაში დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. ახლაც მიმდინარეობს საჩხერელებისთვის საყვარელი ციხის, „მოდინახეს“ რეაბილიტაცია, რაც სწორედ მისი და მისი გუნდის დამსახურებაა. დასანანია, ოპონენტები ყველაფერზე რომ აკრიტიკებენ. მახსენდება, ხეების ტრანსპორტირებაზე რა ამბავი ატეხეს და მერე პირველებმა მოინახულეს ულამაზესი დენდროლოგიური პარკი და ზოგადად, ისარგებლეს ყველა იმ სიკეთით, რაც მან მოიტანა. ბიძინა ივანიშვილთან უშუალო ურთიერთობა კი, 2014 წლიდან მაქვს. ამ პერიოდიდან „ქართული ოცნების“ საჩხერის ორგანიზაციას ვხელმძღვანელობ. ეს ჩემთვის უდიდესი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა.

**– ანუ, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გამო ხართ „ქართული ოცნების“ რიგებში?**

– არა მხოლოდ. ვფიქრობ, ეს ერთადერთი უალტერნატივო პოლიტიკური გუნდია საქართველოში, რომელიც არის ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებული. როცა 2011 წელს ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოართვეს, როგორც ყველას, მეც გამიჩნდა პროტესტის გრძნობა. მაშინ პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი, სამოქალაქო განათლებას, სახელმწიფოსა და მოქალაქეობას ვასწავლიდი. პრეზიდენტის სახელზე ტექსტი მოვამზადე, რომელსაც ხელი ჩემმა კოლეგებმა და თანასოფლელებმა მოაწერეს. ეს ტექსტი „მაესტროს“ ეთერშიც გავიდა.

**– და ამის გამო „ნაციონალებთან“ პრობლემები არ შეგექმნათ?**

– რა თქმა უნდა, 2 სკოლაში ვმუშაობდი და ორივე სკოლიდან, პოლიტიკური ნიშნით, 1 დღის შუალედით გამათავისუფლეს. თუ ბავშვებს ასწავლი ადამიანის უფლებებს, სამოქალაქო

განათლებაზე, თავისუფლებაზე ელაპარაკები, ამისთვის უნდა იბრძოლო კიდეც. და მეც ბრძოლა დავიწყე – „ქართული ოცნების“ რიგებს შევუერთდი. პარტიის ხედვებს, მის დასავლურ-ევროპულ კურსს ვეთანხმები. ჩვენი პარტია ამ წლების განმავლობაში ინარჩუნებს ქვეყანაში მშვიდობას, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტი მეზობელი გვყავს. „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილური გარემო და სწორ ნაბიჯებს დგამს, რათა ყველა მიმართულებით განვვითარდეთ.

**– „ქართული ოცნება“ განათლების მიმართულებითაც სწორ ნაბიჯებს დგამს?**

– დიახ, განათლება ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია. თუნდაც ის რად ღირს, რომ ამ ხელისუფლების პირობებში, მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოები ურიგდებათ. „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ისიც, რომ პედაგოგებს გაეზარდათ ხელფასი, დამსახურებულ პენსიაში გადიან. გარდა ამისა, ყველა მუნიციპალიტეტში შენდება ან რეაბილიტაცია უტარდება საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ხელისუფლება ნამდვილად ყველაფერს აკეთებს, რომ მომავალი თაობა იყოს ქვეყნის უკეთესი მომავლის გარანტორი.

**– 2017 წლიდან საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებთ. ნაყოფიერი იყო ამ თანამდებობაზე თქვენი საქმიანობა?**

– ვფიქრობ, ნაყოფიერი იყო. კარგად ვთანამშრომლობდით მერიასთან, რის გამოც მოქმედი მერის მადლობელი ვარ. მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა პროექტში აქტიურად ვიყავით ჩართულები. უშუალოდ საკრებულოს გადაწყვეტილებებიდან კი გამოვყოფ ერთ ფაქტს: მუნიციპალიტეტში არის სოფელი დურევი, რომელსაც არ ჰქონდა სოფლის სტატუსი. აქედან 1950-იან წლებში გაასახლეს მარნეულში. ეს კარგი ხალხი ვერ შეეგუა იქაურობას და უმრავლესობა უკან დაგვიბრუნდა. ყველა შეხვედრაზე გვთხოვდნენ, რომ ადგილს, სადაც ცხოვრობდნენ, სოფლის სტატუსი ჰქონოდა. აქტიურად ვიმუშავეთ და ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დურევს სოფლის სტატუსი აქვს, რაც ადგილობრივებს ძალიან უხარიათ.

**– გამარჯვების შემთხვევაში რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?**

– როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, როგორც პარტიის თავმჯდომარემ და როგორც საჩხერელმა, ვიცი ყველა გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს საჩხერე დგას. ხელისუფლებამ, ჩვენმა გუნდმა შევძელით და დღეს, საჩხერის ყველა სოფელში მიყვანილია კეთილმოწყობილი გზა. მიუხედავად იმისა, რომ დარჩენილია რიგი უბნები, მაინც შეიძლება ითქვას, რომ სოფლების ცენტრამდე მისასვლელი გზები მოასფალტებული ან მობეტონებულია. დავიწყეთ წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგება. გვრჩება ორი დიდი სოფელი კორბოული და ჯალაურთა, სადაც ჯერ საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს და იმედი მაქვს, ამ დიდ საქმესაც მალე შევერკინებით. ჩვენი გუნდის პრიორიტეტი ინფრასტრუქტურული პროექტების გაგრძელება და დასრულება იქნება. ასევე, უდიდეს ყურადღებას მივაქცევ სპორტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო ინფრასტრუქურას. აკაკი წერეთლის, პაოლო იაშვილის, მუხრან მაჭავარიანის, ჯურხა ნადირაძის... საჩხერეს შეუძლია კულტურისა და სპორტის მიმართულებით საოცარი თაობების აღზრდა და ამის ნათელი მაგალითი, ჩვენი სასახელო ლომკაცის, ჩვენი ლაშა ტალახაძის გამარჯვებაა, რომელიც ასე გვეამაყება და გვინდა, ბევრი ასეთი საამაყო ადამიანი აღიზარდოს საჩხერეში – ამ მიმართულებით ხელშეწყობა, ჩემთვის პრიორიტეტი იქნება.

**– „მოდი ნახეს“ პროექტი უკვე ახსენეთ. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა თუ იქნება თქვენთვის პრიორიტეტი და ზოგადად, საჩხერეს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს?**

– რა თქმა უნდა. ბიძინა ივანიშვილის ინიცირებით დაიწყო და უკვე დასრულების ფაზაშია საჩხერისა და ონის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ტურისტული მიმართულებით გააცოცხლებს ჩვენ მუნიციპალიტეტს. „მოდინახეს“ გარდა ტურისტებს აუცილებლად მოიზიდავს ჯრუჭის მონასტერი, რომლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს და რომელიც ჩვენი სავიზიტო ბარათია. მაგრამ მთავარი, მაინც რაჭასთან დამაკავშირებელი გზაა, რომელიც ტურისტებს მოიზიდავს საჩხერეში. ამ მიმართულებით, ცხადია, მეც, როგორც მერი, ვიაქტიურებ.

**– დარწმუნებული ხართ ამის შანსი მოგეცემათ და მერი გახდებით?**

– არჩევნები ჩემთვის უცხო არ არის. 2012 წლიდან ყველა საარჩევნო პერიოდში, საჩხერეში საარჩევნო შტაბს ვხელმძღვანელობდი. შუალედური არჩევნების დროს სხვა მუნიციპალიტეტებშიც ვიყავი. ვფიქრობ, წელსაც დემოკრატიული არჩევნები, მშვიდ გარემოში ჩატარდება. ზედმეტ ხმაურს საჩხერეში ნამდვილად არ ველი. აქ „ქართულ ოცნებას“ ძალიან დიდი ნდობა აქვს. დარწმუნებული ვარ, მადლიანი საჩხერლების მხარდაჭერით „ქართული ოცნება“ 2 ოქტომბრის არჩევნებში დიდი უპირატესობით გავიმარჯვებთ.

**– უკვე ახსენეთ, რომ საქმის კეთებისას, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ საკრებულოშიც სოლიდურად იქნება წარმოდგენილი?**

– დიახ, საკრებულო და მერია ცალცალკე საქმეს ვერ გააკეთებს. თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა აუცილებელია. ერთად უნდა ვიზრუნოთ საჩხერის განვითარებაზე. ერთად უნდა გავიაზროთ ჩვენი საჩხერლების ჭირვარამი და ერთად უნდა ვუპასუხოთ გამოწვევებს. ისეთი კარგი კანდიდატები გვყავს, როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სიით, რომ დარწმუნებული ვარ, საჩხერის საკრებულოში „ქართული ოცნება“ უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი და ჩვენ, ერთად, საჩხერეს ბევრ სიკეთეს მოვუტანთ!



## ლევან ივანაშვილის ყველაზე დიდი გულშემატკივარი და ნანატრი შვილები

ოჯახი მისი ნავსაყუდელია. აქაა უბედნიერესი – ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი სამი ქალბატონის გარემოცვაში.

მეუღლე, წარმოშობით საჩხერელი ხათუნა ნადირაძე, შემთხვევით გაიცნო. ურთიერთობა სოციალურ ქსელში დაიწყეს. ჯერ დამეგობრდნენ, შემდეგ კი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. შეყვარებულობის პერიოდი არასრული 1 წელი გაგრძელდა. დაოჯახება კი, 2009 წლის 14 თებერვალს გადაწყვიტეს, მაგრამ წმინდა ვალენტინის დღისთვის განგებ არ დაუმთხვევიათ – კანდიდატს მიაჩნია, რომ ადამიანმა სიყვარულით უნდა იცხოვროს. 18 თებერვალს იუბილარ მეუღლეს საჩუქარი გაუკეთა და პირველად სწორედ ამ დღეს მიიყვანა სახლში, რომელიც მალე მათი ბედნიერებისა და კომფორტის ზონად იქცა.

ქალბატონი ხათუნა სამედიცინო სფეროში საქმიანობს – საჩხერის საავადმყოფოში, სისხლის ბანკის თანამშრომელია.

პირველ შვილს 8 წელი ელოდნენ. მეუღლის ფეხმძიმობის ამბავი შობის წინა დღეს გაიგო, მარიამობას კი მამა გახდა. 2 წლის შემდეგ მეორე ანგელოზი შეეძინათ. მარიამი 4 წლისაა. ელენე კი – 2-ის. ამბობს, რომ ბავშვებმა მთელი მისი ცხოვრება თავდაყირა დააყენეს და ისიც, საგრძნობლად შეცვალეს. ამბობს იმასაც, რომ გოგონებმა ოჯახში უსაზღვრო ბედნიერება შემოიტანეს.

მარიამი და ელენე ძალიან ნიჭიერები არიან. უკვე ბევრი ლექსი იციან და მოსწონთ, როცა მამიკოს გამოთქმით უყვებიან. უყვართ მამასთან ერთად თამაში, ან მულტფილმების ყურება.

გული სწყდება, რომ ოჯახისთვის ხშირად ვერ იცლის. როცა საარჩევნო მარათონში ჩაერთო, მეუღლემ მხარი დაუჭირა. ქალბატონი ხათუნა მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარია.

ჰობიც აქვს – ნადირობა უყვარს და მეგობრებთან ერთად, ძირითადად იხვსა და მწყერზე სანადიროდ ხშირად დადიოდა. ამბობს, რომ ნადირობა აზარტულია. წელს სეზონს ჩააგდებს – ახლა სხვა, „პოლიტიკურ აზარტშია“ და სხვა მიზანი აქვს – საჩხერლების ხმების „მონადირების“ შემდეგ, მშობლიური მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. **2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, საჩხერის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილი 64 077 840 ლარით დაფინანსდა 118 588 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (298 003,9 ლარით 210 031 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 888 687 ლარით 62 607 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (42 652 459 ლარით 36 046 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (8 894 397 ლარით 8 359 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 693 009 ლარით 4 508 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 189 299 ლარით 5 645 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **საჩხერის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 10 910 ბენეფიციარი (918 813 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **საჩხერის მუნიციპალიტეტში** 65%-დან 100%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **საჩხერეში,** სტაციონარული მკურნალობით 201-მა (693 463 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1 417-მა პაციენტმა (159 384 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისის მიმღებია 7 830 ორსული (422 387 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 1910.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **საჩხერის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 803 პირი (156 744 ლარი). 2012 წლის შემდეგ, **საჩხერის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **საჩხერეში,** 2013-2021 წლებში, სულ 797 შემთხვევა 1 411 550 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **საჩხერის მუნიციპალიტეტს** 39 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.



**2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 131,0 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 101,9 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტში, 2012-2021 წლებში, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება:** გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ხელშეწყობაზე, იმუნიზაციისა და ენტერობიოზის პროგრამის შესრულებაზე. **ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაცია:** ს/ს „საჩხერის რაიონული საავადმყოფო – პოლიკლინიკური გაერთიანების“ ჰემოდიალიზის განყოფილების აღჭურვა; სასწრაფოს შენობის მშენებლობის დასრულება. ქ. საჩხერეში გადაუდებელი დახმარების ცენტრის ეზოს კეთილმოწყობა; საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული ამბულატორიების კეთილმოწყობა.

**2014-2019 წლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, დასრულდა ახალი ამბულატორიების მშენებლობა** სოფლებში: პერევი ( 30 730,0 ლარი), გორისა (30 930,0 ლარი), მოხვა (39 999 ლარი), ცხამი (93 237 ლარი). 2019 წელს – განხორციელდა მერჯევი/ივანწმინდასა (5 994,6 ლარი) და ჯალაურთის (23 595 ლარი) ამბულატორიების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქ. საჩხერეში აშენდა სასწრაფო-სამედიცინო პირველადი დახმარების ცენტრი (142 515 ლარი).

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის ხარისხიანი დაცვის სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება; დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტი განახორციელებს ქმედით ღონისძიებებს და პრევენციული ღონისძიებების გატარებით, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **საჩხერის მუნიციპალიტეტში**, სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04.2021 მდგომ.) 9066 პირია. 2012 წლის შემდეგ 2,2-ჯერ – 11 208 447-დან 24 703 789 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 157 693 541 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **საჩხერეში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 105 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,8-ჯერ – 132 656-დან 633 758 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 4 734 802 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **საჩხერის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი** 1 375 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ ). 2012 წლის შემდეგ 12,5-ჯერ – 2 170 ათასიდან 3 224 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში **საარსებო შემწეობაზე** სულ დაიხარჯა 23 146 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 4 030 ათასი, შშმ პირებზე – 2 233 ათასი, ბავშვებზე – 9 148 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **საჩხერეში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2 243 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,8-ჯერ – 682 446-დან 3 972 137 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 26 616 139 ლარი.



**საჩხერის მუნიციპალიტეტში** 278 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 104 856-დან 155 070 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 1 265 537 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **საჩხერის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 16 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 8 დევნილ ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 8 ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **საჩხერეში,** დაფინანსებულია 278 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 978 800 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 498 950 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი. მათ შორის, საჩხერის მუნიციპალიტეტზე – 2 926 966 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, **საჩხერის მუნიციპალიტეტიდან,** ჩართული იყო 1260 ოჯახი, 2021 წელს (06.2021 წ. მდგომ.) – 1382 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 318-მა პირმა, 2021 წელს (06.2021 წ. მონაცემ.) – 350-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – პროგრამაში, 2020 წელს, ჩაერთო 556 პირი (2021 06.2021 წ. მონაცემ.) – 535.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით,** დასაქმების სახელწიფო სააგენტო კომპენსაციებს გასცემს იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა **ფორმალურმა/არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა,** ჯამში, 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციები გაიცა იმ პირებზე, **ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა** (121 634 პირზე ჯამში 36 490 200 ლარი). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციით (6 თვე, თვეში – 200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, სოციალური დახმარების მიზნით, კომპენსაცია ჯამში მიიღო: 2020 წელს – 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს – ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

**2013 წელთან შედარებით 2,3-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 941,0 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 412,3 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტში, 2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში განხორციელდა/ხორციელდება 11 პროგრამას, მათ შორის:** ავადმყოფთა სოციალური დაცვა; შშმ პირთა სოციალური დაცვა; ომისა და შრომის ვეტერანებისა და მათ ოჯახების ფინანსური დახმარება; ბავშვთა სოციალური დაცვა; მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა; უფასო სასადილოს დაფინანსება; საჩხერე-პერევი და პერევი-საჩხერის საავტობუსო რეისების სუბსიდირება და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- შეიქმნება/დაიხვეწება და განვითარდება საქართველოში შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანომდებლობა; გაჩნდება და დაიხვეწება შრომითი მიგრანტების (ემიგრანტები/იმიგრანტები) უფლებების დაცვის გამართული და ქმედითი მექანიზმები;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB).



მერჯევის საბავშვო ბაღი

2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** საჩხერეში ფუნქციონირებს 21 მუნიციპალური საბავშვო ბაღი ( 4 – ქ. საჩხერეში, 17 – სოფლად).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩხერეში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს, განათლების მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 3 მლნ 523,8 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 916,9 ათასი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 198,9 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი განხორციელდა.** მათ შორის: **2014-2016 წლებში** აშენდა 11 საბავშვო ბაღი; 2014 წელს კაპიტალურად შეკეთდა ქ. საჩხერის №2 საბავშვო ბაღი, (179,9 ათასი ლარი). **2015 წელს,** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა სოფლების (პერევი, ორღული, გორისა, ჭალოვანი) საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები (35, 2 ათასი ლარი); 3 სოფლის (ჭალოვანი, ორღული, პერევი) საბავშვო ბაღებში გაზგაყვანილობის სამუშაოები (7,6 ათასი ლარი), ჭორვილაში საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია (24, 5 ათასი ლარი), სხვიტორში საბავშვო ბაღის რემონტი (22, 9 ათასი ლარი), ქ. საჩხერეში, ა. წერეთლის სახელობის საბავშვო ბაღთან მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია და ეზოს შემოღობვა-კეთილმოწყობა (34,4 ათასი ლარი), საირხეში ბაღის შენობის სახურავის რეკონტრუქცია (25, 4 ათასი ლარი). **2016 წელს –** აშენდა სოფ. ცხამის საბავშვო ბაღი, რაზეც რეგიონული განვითარების ფონდიდან 173,4 ათასი ლარი დაიხარჯა; გარემონტდა სოფ. მერჯევის საბავშვო ბაღი (ადგილობრივი ბიუჯეტიდან 34 ათასი ლარი). **2017 წელს** სოფლების: სხვიტორის, საირხისა და ქ. საჩხერის აკ. წერეთლის სახელობის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 140 ათასი ლარი დაიხარჯა, ქ. საჩხერის №2 ბაღის შემოღობვაზე (9, 8 ათასი ლარი). ათასი ლარი). **2018-2019 წლებში** სოფელ არგვეთში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, რაზეც რეგიონული განვი-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

თარების ფონდიდან 356,9 ათასი ლარი დაიხარჯა. **2020 წელს** განხორციელდა ა. წერეთლის სახელობის საბავშვო ბაღის გათბობის სისტემისა და საქვაბის მშენებლობა (72, 2 ათასი ლარი). **2021 წელს** დასრულდა – ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ კორბოულსა და მერჯევში (მუნიციპალური განვითარებსი ფონდიდან 1 მლნ 400 ათასი ლარი), ასევე სრული რეკონსტრუქცია – ჩიხასა და ჭალაში არსებულ საბავშო ბაღებში.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს საბავშვო ბაღებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 950 **აღსაზრდელი** დადის. მათ 54 აღმზრდელი, 21 ექიმი/ექთანი და 5 ფსიქოლოგი ემსახურება. 2012 წლიდან დღემდე, **აღმზრდელ-პედაგოგთა ხელფასები** 205-დან 500 ლარამდე გაიზრდა. 2,6 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე. **სასკოლო მზაობის ჯგუფები** 7 საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს, რომლებშიც 185 აღსაზრდელია.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 საჯარო სკოლა** (ქალაქში – 3, სოფლად – 29, მათ შორის 14 – მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელში). საჯარო სკოლებში 4955 მოსწავლე და 737 მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 81 სსსმ მოსწავლე. სპეცმასწავლებლის სტატუსით სარგებლობს 28 მასწავლებელი. 10 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს 20 მანდატური იცავს. საჯარო სკოლებს 5 ექიმი ემსახურება.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ, საჩხერის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა. მათ შორის:** 2013-2019 წლებში, **წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით** გამოვლინდა 308 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი, 2018-2019 წლებში, 79 ოქროს და 31 ვერცხლის მედალოსანი. **2017-2019 წლებში,** საჯარო სკოლებზე **420 სასკოლო ჟურნალი** გაიცა და უფასოდ 19021 **სახელმძღვანელო** დარიგდა. **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 31 საჯარო სკოლის (119 მიმართულება) 17584 მოსწავლე (2018-2019 წ. I სემესტ.). 2017-2020 წლებში, **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით,** 80 პროექტი დაფინანსდა და 156 აქტივობას შეეწყო ხელი. 2013-2019 წელს, პირველკლასელებს საჩუქრად 3026 კომპიუტერი გადაეცათ (მათ შორის, 2017-2019 წლებში – 1337), კლასის დამრიგებლენს – 116 (მათ შორის, 2017-2019 წლებში – 83). **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით,** 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** აღჭურვის 21 პროექტი განხორციელდა. 2013-2019 წლებში, **პორტაბელური კომპიუტერებით** დასაჩუქრდა 353 წარჩინებული მოსწავლე (მათ შორის, 2017-2019 წლებში – 77). **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, 12 საჯარო სკოლას სულ 239 კომპიუტერი და 30 პროექტორი გადაეცა. **პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით**, სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებში 37 პროექტი განხორციელდა. **2015-2019 წლებში,** საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით**, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 44 პროექტი განხორციელდა.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით,** 2013-2021 წლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 35 პროექტი განხორციელდა. შედეგად, ინფრასტრუქტურულად **ადაპტირებულია** 20 საჯარო სკოლა. ცენტრალური **გათბობის სისტემით** აღჭურვილია ყველა საჯარო სკოლა. მათ შორის: **2013 წელს** 4 საჯარო სკოლის ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე სულ 177 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას (ჯამურად 237 ათასი ლარი); **2015 წელს** განხორციელდა 6 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა და საჩხერის საგანამანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია (სულ 172,4 ათასი ლარი); **2016 წელს** 3 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, 2 სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა ჯამში, 18,9 ათასი ლარით დაფინანსდა. **2017 წელს აშენდა** სოფელ კორბოულის №1 საჯარო სკოლა (შერწყმული კაპანაძეების დაწყებითი, 460,5 ათასი **ლარი);** ქ. საჩხერესა და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში დაფინანსდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები. **2018 წელს** – აშენდა სოფ. სარეკის საჯარო სკოლასთან შერწყმული სოფელ ბაჯითის დაწყებითი საჯარო სკოლა, რაზეც, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, 700 ათასი ლარი დაიხარჯა. წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაფინანსდა 1 სოფლის, ხოლო გათბობის სისტემების რეაბილიტაცია 6 სოფლის საჯარო სკოლებში. **2019 წელს** ქ. საჩხერისა და მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტებზე, საერთო ჯამში, 913, 1 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სოფ. ჯრიაში შემოიღობა დაწყებითი სკოლა (8,7 ათასი ლარი) და სოფ. პერევის სკოლაში განხორციელდა საკლასო ოთახებისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია (64,9 ათასი ლარი). იმავე წელს დასრულდა სოფ. კორბოულის №2 საჯარო სკოლასთან შერწყმული კაპანაძეების დაწყებითი სკოლის მშენებლობა (780 ათასი ლარი).

**2020 წელს ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** საჩხერის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 35 პროექტის განხორციელებაზე 592, 8 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის სველი წერტილები მოეწყო 30 საჯარო სკოლაში. 2021 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, – დაფინანსდა საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჯამურად 120 ათასი ლარით. **მიმდინარეობს** სატენდერო პროცედურები.

## პროფესიული განათლება

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, **საჩხერის მუნიციპალიტეტში**, პროფესიული მომზადება/გადამზადების 4 პროგრამაა ხელმისაწვდომი, რომელსაც შპს კოლეჯი „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ ახორციელებს.

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან, **სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მოიცავს იმერეთის რეგიონის (ბაღდათი, საჩხერე, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა ხარაგაული და ხონი)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს იმერეთის რეგიონიდან დაფინანსდა 12 სტუდენტი, 2019-2020 ს/წელს -12 სტუდენტი, 2020-2021 ს/წელს – 12 სტუდენტი. ასევე გამყოფი ხაზის პროგრამით, 2020-2021 ს/წელს დაფინანსდა 15 სტუდენტი.


საჩხერის ილია ჭავჭავაძის სახელობის №2 საჯარო სკოლა

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო და გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომის სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია; უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება საჩხერეში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები; 2021 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა საჯარო სოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების 20 პროექტი (ჯამური 120 ათასი ლარი). რეაბილიტაცია განხორციელდება: მახათაურის, მოძვის, საირხის, სავანის, სპეთის, სხვიტორის, ლიჩის, ჭალოვანის, ქ. საჩხერეში მე-3, ჭალის, სარეკის, კორბოულის №1, ორბოულის №1 საჯარო სკოლასთან შერეწმული კაპანაძეების დაწყებით, ქ. საჩხერის მე-2, ქ. საჩხერეში პირველ, კორბოულის №2, ჭალის საჯარო სკოლა და მასთან შერწყმული სოფ. დარყის დაწყებით, ნიგვზარის, შომახეთის, ჭორვილის საჯარო სკოლებში;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**საჩხერეში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, ჯურხა ნადირაძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი სოფელ სხვიტორში, მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმი სოფელ არგვეთში, პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმი სოფელ არგვეთში, აკადემიკოს კ. წერეთლისა და მხატვარ ს. წერეთლის სახლ-მუზეუმი სოფელ კალვათაში, აკ. წერეთლის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, 15 სასოფლო ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ სოსო წერეთლის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ მედეა ჯაფარიძის სახელობის არგვეთის კულტურის სახლი, ა(ა)იპ ობოლა ციმაკურიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სოფელ სარეკის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს: ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამეფო”, სახალხო თეატრი „პაოლო“, თოჯინების თეატრი, ფოლკლორული ანსამბლი „მოდინახე”, ხალხურ საკრავთა ანსამბლი „საპოვნელა”, ქორეოგრაფიული ანსამბლი „შევარდენი”, სამეჯლისო-სპორტული ცეკვის ანსამბლი „ელეგანტი”, მამია ხატელიშვილის სახელობის სამუსიკო სტუდია, ბიჭუნათა ანსამბლი „განთიადი”, გოგონათა ანსამბლი „ნამცეცები” და მევიოლინეთა ანსამბლი, სალოტბარო სკოლა.

**მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს:** ქორეოგრაფიული ანსამბლი „საწერეთლო“, სამეჯლისო-სპორტული ცეკვის ანსამბლი „ელეგანტი”, საესტრადო სიმღერების სტუდია „ათინათი“, მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია „საჩხერის ტანც-კლასი“, თეატრალური სტუდია „თე-არტი“, თოჯინების თეატრი „კოკროჭინა“, ასევე ფუნქციონირებს 20-მდე სხვადასხვა მიმართულების წრე. **სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს:** ხალხური სიმღერების ანსამბლი „ჩანამღერი“, ხალხურ საკრავთა, სავიოლინო და საფორტეპიანო ანსამბლები.

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 575,3 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 727,9 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაულები, ლიტერატურული, კლასიკური მუსიკის, საჩხერის სახელოვანი ადამიანებისადმი მიძღვნილი საღამოები, ტარდება კონცერტები, მათ შორის – სახელმწიფო ანსამბლებისა და სახელმწიფო აკადემიური თეატრების მონაწილეობით, ეწყობა მხატვართა გამოფენები, 2016 წელს პირველად გაიმართა სახალხო დღესასწაული „მუხრანობა“.



აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი სხვიტორში

2019 წელს დაფუძნდა **ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“,** რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და ტურისტულად მნიშვნელოვანი ადგილების ცნობადობის ამაღლება, ამ კუთხით, საჩხერეში, 2018-2020 წლებში, დაიგეგმა და განხორციელდა საინფორმაციო და მედიატურები ტურისტული სააგენტოებისა და ტელევიზიებისათვის. საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია **აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი,** რომელსაც 2019 წელს 10 ათასი, **მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმს** კი 2 ათასი ვიზიტორი ესტუმრა. **საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში,** 2013-2021 წლებში, 34 თემატური გამოფენა გაიმართა, იმავე პერიოდში მუზეუმს 126 122 დამთვალიერებელი სტუმრობდა.

**საჩხერის კულტურის ცენტრში დაიდგა სპექტაკლები:** „მეფე ლირი“ და „ცხოვრება იდიოტისა“, „ფერადი ბუშტები“. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დაიდგა სპექტაკლები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „იმერელი აზნაურები“, საბავშვო თოჯინური სპექტაკლები „ნახევარწიწილა“, „ბურატინო“. **ობოლა ციმაკურიძის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები** სისტემატურად მონაწილეობენ სახალხო დღესასწაულებში („საჩხერლობა“ და „მუხრანობა“), იმერეთის რეგიონულ ფესტივალში „იმერეთის ხმა“, საესტრადო სიმღერის კონკურს-ფესტივალში „სხვა საქართველო სად არის“ , 2 მაისობას ქუთაისის ღონისძიება „გვირილობაში“ და სხვა კულტურულ ღონისძიებებში. მათ შორის: ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სამეფო“ სხვადასხვა კონკურს-ფესტივალში მიიღო მონაწილეობა (2018 წელს – თბილისში, „ვიცეკვოთ ქართულად“, პირველი ადგილი; ქობულეთი, „ოქროს ვარსკვლავი“, პირველი ადგილი; 2019 წელს – თბილისი, „ეროვნული საგანძური“, პირველი ადგილი; ქობულეთი, „ზღვის ჰარმონია“, გრანპრი და პირველი ადგილი; წყალტუბო, „ქართული ცეკვების ფესტივალი“, პირველი ადგილი“). ანსამბლმა „განთიადი“, 2018 წელს, იმერეთის რეგიონულ ფესტივალში („იმერეთის ხმა“) მიიღო მონაწილეობა, საესტრადო სიმღერის კონკურს-ფესტივალში – „სხვა საქართველო სად არის“ პირველი ადგილი დაიკავა. სამეჯლისო სპორტული ცეკვების ანსამბლმა „ელეგანტი“, 2018 წელს, ქ. ერევანში (სომხეთი) გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში გრანპრი და პირველი ადგილი მოიპოვა. ამას გარდა: თბილისში, ზუგდიდში, ქობულეთსა და ბათუმში გამართულ კონკურსებში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, საპრიზო ადგილები და გრანპრი მოიპოვა. 2021 წელს კი კასპში გამართულ შეჯიბრში – „შიდა ქართლის თასი 2021“ პირველი ადგილი დაიკავა.

**2018 წელს – სახალხო თეატრმა „პაოლო“** ბათუმის მუსიკალურ ცენტრში წარმოადგინა სპექტაკლი – „შერეკილები“, გასტროლით ესტუმრა გორის სახელმწიფო თეატრს, ჭიათურის დრამატული თეატრსა და ზესტაფონის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს; გამართა ტურნე აჭარაში. **სალოტბარო სკოლის ანსამბლმა** კასპში გამართულ ქართული სიმღერისა და გალობის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. **ბავშთა ქორეოგრაფიულმი ანსამბლმა „მუხრანელები“** გამართა რეგიონული ტურნე ბათუმში, მონაწილეობა მიიღო ინტერნაციონალურ ფესტივალში – „ოქროს ვარსკვლავი“; 2019 წელს კი ბორჯომში გამართულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში „ჩრდილოეთის ნათება“ მიიღო **მონაწილეობა. სოსო წერეთლის სახელობის სამხატვრო სკოლის** აღსაზრდელები სხვადასხვა გამოფენებში, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში („ასფალტზე ხატვა”), ჩეხეთსა და ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობენ. 2019 წელს **ანსამბლმა „საწერეთლო“** გასვლითი კონცერტები მოაწყო ზეტაფონში, ბათუმი, ქობულეთი, რაჭა-ლეჩხუმსა და ზემო სვანეთში. **საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში** ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით დაიდგა სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, გაიმართა ანსამბლ „ნანინას“კონცერტი, ქართული საესტრადო სიმღერის კონკურსი, 26 მაისისადმი მიძღვნილი კონცერტი და სხვ.

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: 2014 წელს –** საჩხერის კულტურის სახლის ფასადისა და მიმდებარე ტერიტორიის შეკეთებითი სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12,8 ათასი ლარით დაფინანსდა. **2015-2016 წლებში –** აკაკი წერეთლის დედისეული სახლის (სასტუმრო სახლი) რეაბილიტაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 33,8 ათასი ლარი მოხმარდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 29,8 ათასი ლარი. ქ. საჩხერეში, განხორციელდა სამუსიკო-სამხატვრო სკოლის დემონტაჟი და აშენდა ახალი შენობა (სამუშაოთა ორი ეტაპი), რაც, რეგიონული განვითარების ფონდიდან, ჯამში, 828,4 ათასი ლარით დაფინანსდა; **2016-2017 წლებში –** სოფელ სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაციაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 516,5 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს –** სოფელ არგვეთში პაოლო იაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციას ადგილობრივი ბიუჯეტიდან 57, 5 ათასი ლარი მოხმარდა. **2018 წელს –** სოფელ სხვიტორში აკაკი წერეთლის დედისეული ბაღის კეთილმოწყობაზე 100 ათასი ლარი დაიხარჯა, პროექტი ფონდი „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა; სოფელ ჭალის ახალ ადმინისტრაციულ შენობაში მოეწყო ბიბლიოთეკა (71 ათასი ლარი); სოფელ გორისის ახალ ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე კი 61,6 ათასი ლარი დაიხარჯა.

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში განხორციელდა პროექ-**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**ტები:** სსიპ „აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის“ გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობა (7,2 ათასი ლარი); სსიპ „აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის“ დედისეული შენობის (ე.წ. სასტუმრო სახლი სოფელ სხვიტორში) რეაბილიტაცია (29,8 ათასი ლარი); როსტომისეული სასახლისა და კარის ეკლესიის რეაბილიტაცია (16 ათასი ლარი); ა. წერეთლის სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია (44,4 ათასი ლარი); სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის“ საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია (319, 3 ათასი ლარი).

**2018 წელს –** განხორციელდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის როსტომ წერეთლის სასახლისა და კარის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ სხვიტორში, რაზეც 92,5 ათასი ლარი დაიხარჯა. ამ წელს დაიწყო და ამჟამადაც **მიმდინარეობს** სოფელ ცხომარეთში მდებარე, მე-11 საუკუნის ჯრუჭის მონასტრის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (95%) და ადგილობრივი ბიუჯეტიდან (5%) ფინანსდება, ხოლო მისი დასრულება მიმდინარე წლის ბოლოსთვის იგეგმება. პროექტის საერთო ღირებულება 1 მლნ 466, 1 ათასი ლარია. სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი (332,5 ათასი ლარი) **დასრულდა** და ამჟამად მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

**მიმდინარეობს** არგვეთის კულტურის სახლის მშენებლობა (421,7 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი). „მოდინახეს“ ციხის სრული რეაბილიტაცია, რისთვისაც „ქართუ“ ფონდმა 760 ათასი ლარი გამოყო; ქალაქ საჩხერეში, ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მემორიალის მოწყობის სამუშაოები (ადგილობრივი ბიუჯეტიდან 41,1 ათასი ლარი).

## სპორტი

**საჩხერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული** ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზი, ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლა და ლაშა ტალახაძის სახელობის საჩხერის ძალოსნობის დარბაზი (120 სპორტსმენი და 8 მწვრთნელი).

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 382 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 566,7 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია:** ცურვა, წყალბურთი, მკლავჭიდი, ტაეკვონდო, ჭადრაკი, კალათბურთი, ძალოსნობა, ფეხბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, კრივი და კარატე.

**გრანდიოზულ სპორტულ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ლაშა ტალახაძის ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონობა.** 2021 წლის 4 აგვისტოს, ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადაზე, მსოფლიოს უძლიერესმა ძალოსანმა, საჩხერელმა ლაშა ტალახაძემ საქართველოს მეორე ოქრო, ჯამში კი მეშვიდე მედალი მოუტანა. როგორც მოსალოდნელი იყო, 27 წლის ქართველმა სპორტსმენმა ტოკიოს საერთაშორისო ფორუმის დარბაზში მეტოქეებს დიდი უპირატესობით აჯობა და თავისივე რეკორდებიც გააუმჯობესა. ლაშა ტალახაძე გახდა ერთადერთი ქართველი სპორტსმენი, ვინც ოლიმპიური ოქრო ზედიზედ მეორედ მოიგო.

**2016 წლიდან დღემდე, საჩხერელი ახალგაზრდა სპორტსმენებისა და მწვრთნელების წასახალისებლად,** ასევე, სხვადასხვა სფეროში წარმატებული ახალგაზრდების წასახალისებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია ჯამში 131 000 ლარზე მეტი (2016 წ. – 42 800 ლარი; 2017 წ. – 24 580 ლარი; 2018 წ. – 22 800 ლარი; 2019 წ. – 36 900 ლარი; 2020 წ. – 3 925 ლარი);




**2014-2021 წლებში მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის: 2013-2016 წლები** – ქართული ჭიდაობის ღია სპორტული არენის მოწყობა (82 ათასი ლარი, ასოციაცია „ატუ“) და ძალოსნობის დარბაზის მშენებლობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედნებს ქ. საჩხერეში, კოსტავას, აღმაშენებლისა და რაჭის ქუჩებზე (78, 6 ათასი ლარი). **2015 წელი –** სოფელ სხვიტორში მდებარე სპორტული მოედნის, ქ. საჩხერეში, რაჭის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნისა და ქ. საჩხერეში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამურად 63, 4 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016-2017 წლები –** ქ. საჩხერეში (მაჭავარიანის ქუჩა) აშენდა ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა ტალახაძის სახელობის ძალოსნობის დარბაზი, რაც რეგიონული განვითარების ფონდმა 636,9 ათასი ლარით დააფინანსა. **2017 წელი –** ქ. საჩხერეში რაჭის, კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებზე სტადიონების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 96, 5 ათასი ლარი დაიხარჯა. **2018 წელი –** სოფლებში: კორბოული, ნიგვზარასა და ჭორვილა, სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 60,9 ათასი ლარი მოხმარდა. **2019 წელი –** ქ. საჩხერის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის სამუშაოებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 250 ათასი ლარი დაიხარჯა, სოფელ კორბოულში (კაპანაძეების, ყიფშიძეებისა და ხომასურიძეების უბანი), სტადიონის რეკონსტრუქციასა და სოფელ ჭალაში სტადიონის შემოღობვის სამუშაოებზე – 20 ათასი ლარი. იმავე წელს, ქ. საჩხერეში, დურმიშიძისა და რაჭის ქუჩებზე არსებული მინისტადიონების სარეკონსტრუქციო სამუშაოებსა და დურმიშიძის ქუჩაზე გარესავარჯიშოს მოწყობას 79, 6 ათასი ლარი მოხმარდა.

**რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ),** იმავე წელს – ქ. საჩხერეში, წერეთლის I ჩიხისა და მიმდებარე მოედნის რეაბილიტაციაზე 17,4 ათასი ლარი დაიხარჯა, სოფელ ახალ იცქისის სკოლაში ღია სპორტული მოედნის მოწყობაზე – 46,8 ათასი ლარი. ჩატარდა ბაჯითის დაწყებითი სკოლის სპორტული მოედნისა (51 ათასი ლარი) და სოფელ მოხვის საჯარო სკოლის (26,7 ათასი ლარი) გარე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

**2020 წელს** – ქ. საჩხერეში (ალ. ჭავჭავაძის, რ. ჯაფარიძისა და პ. იაშვილის ქუჩებზე) სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციაზე, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ), ჯამში, 270,5 ათასი ლარი დაიხარჯა. იმავე წელს, სპორტული მინიმოედნის მოწყობაზე სოფელ სავანეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 52,8 ათასი ლარი დაიხარჯა, სოფ. საირხის სასულიერო სკოლის მიმდებარედ სპორტული (კალათბურთის) მოედნის მოწყობას კი, სოფლის განვითარების პროგრამით, 20 ათასი ლარი მოხმარდა. ასევე, სოფელ საირხეში სპორტული მოედნის მოსაწყობად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 84,4 ათასი ლარი გამოიყო, სოფ. კალვათაში სპორტული მოედნის მოსაწყობად კი – 75,6 ათასი ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, მოეწყო სპორტული მოედანი სოფელ ცხომარეთში (უზუნთის უბანი), რაზეც 10 ათასი ლარი დაიხარჯა. სოფელ სავანეში, მინისტადიონის მიმდებარედ, ტრენაჟორების მოწყობას კი, იმავე პროგრამის ფარგლებში, 28 ათასი ლარი მოხმარდა. **2021 წელს –** დასრულდა ქ. საჩხერეში ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაზეც, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 350 ათასი ლარი დაიხარჯა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა – თითოეული მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობის სფეროზე პასუხისმგებელი პირების გასვლითი სამუშაო შეხვედრა (80 მონაწილე); „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ, ა(ა)იპ „რეგიონული განვითარების ახალგაზრდულმა ასოციაციამ“, განახორციელა პროექტი **„თვითმმართველობა თვითმმართველობისთვის“** (დაიხარჯა 1,2 ათასი ლარი). პროექტის მიზანი იყო საჩხერის 3 სკოლის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრა და პროექტის გაცნობა, ამავე შეხვედრაზე თვითმმართველობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და არსებული წარმატებების წარმოჩენა.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით, საჩხერის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2022-2025 წლებში დაგეგმილია სოფელ ჭალოვნის ეკლესიის რეაბილიტაცია, რასაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 450 ათასი ლარით დააფინანსებს;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

„ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ გამომიცხადა ნდობა, ამჯერად, მეტად საპასუხისმგებლო პოზიციაზე. იყო საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი და ემსახურო საჩხერესა და საჩხერელებს, ეს დიდი პატივი და იმავდროულად – უდიდესი პასუხისმგებლობაა.

დავიბადე და გავიზარდე საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილაში, მშრომელი ხალხის ოჯახში. მამა აგრონომი იყო, დედა წლების განმავლობაში საჩხერის რაიონულ საავადმყოფოში მუშაობდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 2006-2012 წლებში, ვმუშაობდი სოფელ ჭორვილასა და საირხეს საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლად. ვარ 2014-2017 წლების მოწვევის საკრებულოს დეპუტატი (ჰუმანიტარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე), ხოლო 2017 წლიდან საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

აქედან გამომდინარე, კარგად ვიცნობ ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებს. ამ წლებში „ქართული ოცნების“ გუნდმა უამრავი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება შეძლო. მიმდინარე წელს დასრულდა საჩხერის ყველა სოფლამდე მისასვლელი ცენტრალური საავტომობილო გზის დაგება, განხორციელდა სოფლების წყალმომარაგების სამუშაოები. ეს პროცესი რიგ სოფლებში ახლაც აქტიურად მიმდინარეობს. აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამდენიმე საბავშვო ბაღსა და ამბულატორიას.

მომდევნო წლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის, საუბნო გზების მოწყობისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოები.

აკაკის, პაოლოს, მუხრანის, ჯურხა ნადირაძისა და ლაშა ტალახაძის მშობლიურ მხარეში, რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი პრიორიტეტი განათლება, კულტურა და სპორტი იქნება.

მჯერა, 2 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ გუნდი, მადლიანი საჩხერელების მხარდაჭერით, უკეთესი საჩხერისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს.

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.